13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემულ უპირობო საბანკო გარანტიას.

14.2 გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ს ოდენობით.

14.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო.

14.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისათვის.

14.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში;

14.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში;

14.7 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველია ვალდებულია მიმწოდებელის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

14.8 გარანტია უნდა იყოს უპირობო, კერძოდ: გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველივე მოთხოვნისთანავე.

14.9 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი აამოქმედებს გარანტიას და ამ გარანტიით გათვალისწინებული თანხები ამოიწურება, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი

გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

15. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

დირექტორის მოადგილე: ირაკლი თოდუა

(ხელმოწერა)

შ.პ.ს. ,,ჯეორესეტი", მისამართი: თბილისი ბარნოვის ქ. N71 ს/კ204560242, ს.ს ,,საქართველოს ბანკი", კოდი:BAGAGE22, ა/ნ GE87BG0000000268732700, ტელ:599-22-71-07

დირექტორი:

შენგელია თამაზი

(ხელმოწერა)

GEORGIA GEORESET LTD TBILISI 204560242

მიღება-ჩაბარების აქტი №162/02/89

ქ. თბილისი

27 ივლისი 2011 წელი

2011 წლის 24 ივნისს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შ.პ.ს „ჯეორესეტი"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №162/02/89, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად კომპანიამ წარმოადგინა №11 საჯარო სკოლის შენობის გამაგრების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში 2011 წლის 24 ივლისისთვის.

მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 8385 (რვაათას სამსასოთხმოცდახუთი ლარი) ლარს.

„შემსყიდველი"

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო სამსახურის უფროსი
თეიმურაზ მაჩაიძე

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო სამსახურის მენეჯერი
აკაკი ნადიბაიძე

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო სამსახურის კონსულტანტი
ზურაბ ნიკოლაიშვილი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ჯეორესეტი"-ს
დირექტორი
თამაზ შენგელია

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10

ქ. ქობულეთი

„04“ „იანვარი“ 2012 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნიკო ბერაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ჯეორესეტი“ (ქალაქ თბილისი, ბარნოვის ქუჩა №71), დირექტორის თამაზ შენგელიას მინდობილი პირის ანზორ ტორონჯაძის (სანოტარო აქტი №110597972, 14.06.2011წ. პირადი ნომერი 01024024498, დაბ. თარიღი 01.01.1941 წელი, პირადობის მოწმობის ნომერი ბ 0324793) სახით (შემდგომში “მიმწოდებელი”), იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (**SPA110030639**) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (კოდი 71300000 - საინჟინრო მომსახურებები), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **2`499** (ორიათას ოთხასოთხმოცდაცხრამეტი) ლარად (შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 “მიმწოდებელი” – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:

2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დასრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში საბავშვო ბაღის. სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
4.2 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
6.3 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 6.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება 100% ოდენობით. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს დასრულების ვადიდან ორი თვის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
7.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–6 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
7.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშუკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,
7.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
7.4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 5 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

7.5 მიმწოდებელი პასუხისმგებელია:
7.5.1. სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის დაშვებული ხარვეზების გამო მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ზე მეტი გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 1% პროცენტის ოდენობით;
9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანმხება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღისგანმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წყვეტს მოქმედებას მხარეთა შორის ნაკისრი ველდებულებების შესრულებისთანავე.

14. განსაკუთრებული პირობები

14.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 5 (ხუთი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

14.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო ოთხი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

15. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

15.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო 5%-იანი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის გათვალისწინებით, აგრეთვე შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისათვის.

15.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

15.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მყენებული ზიანის ფარგლებში.

15.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.6 გარანტია უნდა იყოს უპირობო. ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

15.7 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი აამოქმედებს გარანტიას და ამ გარანტიით გათვალისწინებული თანხები ამოიწურება, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

16. „შემსყიდველი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
16.2 „შემსყიდველი“–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LB0120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი 247001890;
16.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

18.1 „მიმწოდებელი“–ს მისამართი: ქალაქ თბილისი, ბარნოვის ქუჩა №71;
18.2 „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი **BAGAGE22**, ა/ა **GE87BG0000000268732700**, საიდენტიფიკაციო კოდი **204 560 242**
18.3 „მიმწოდებელი“– შ.პ.ს. „ჯეორესეტი“

„შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ბერაძე

„მიმწოდებელი“ – შ.პ.ს. „ჯეორესეტი“

დირექტორის მინდობილი პირი ანზორ ტორონჯაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის საპროექტო დავალება

1.1 ტერიტორიაზე განსათავსებელი ობიექტები:

1. სოფელ ხუცუბანში ყოფილი კოლმეურნეობის შენობის ნაწილში საბავშვო ბაღის მოწყობა 90 ბავშვზე;

1.2 შენობის მოწყობის საპროექტო დავალება

1. მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ბაღის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
2. ეზოს კეთილმოწყობა;
3. შენობის გაზიფიცირება.

1.3 გათბობა / ვენტილაცია

გათბობისა და ვენტილაციის სისტემით უნდა იყოს აღჭურვილი ყველა სართული.

1.4 დავალების შინაარსი

2.4.1 პროექტი უნდა შედგებოდეს შემდეგი შემადგენელი ნაწილებისაგან: არქიტექტურული, კონსტრუქციული, ელექტრო, წყალგაყვანილობა-კანალიზაცია, სახანძრო, გათბობა, ვენტილაცია, გაზმომარაგება (შესაძლებლობის მიხედვით).

მიღება-ჩაბარების აქტი

28 თებერვალი 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ბადრი რომანაძე, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს "ჯეორესეტი", შემდგომში მიმწოდებელი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს "ჯეორესეტი"-ს შორის 2012 წლის 04 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს "ჯეორესეტი"-ს მიერ შესრულებული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 2499 (ორიათას ოთხასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

აქტს თან ერთვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ხუთ ეგზემპლიარად, ელექტრონული ვერსია CD დისკით.

აქტი სწორია რაზედაც ხელს ვაწერთ:

ნაიბარა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული
და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ბ. რომანაძე

ნააბარა:

შპს "ჯეორესეტი"-ს დირექტორი ო. შენგელია

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16 ივლისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, ქ. თბილისის #22 საბავშვო ბაგა-ბაღი" (მის: თბილისი, თემქის მე-10 კვ) წარმოდგენილი - მისი დირექტორის ნინო ბაღაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი")
და მეორეს მხრივ შპს „ჯეორესეტი" (მის: თბილისი, ბარნოვის #71) წარმოდგენილი დირექტორის თ. შენგელიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის №22 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გამაგრების პროექტის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისში, თემქის X კვ-ში მდებარე №22 საბავშვო ბაღის შენობის 2009 წელს შემუშავებული გამაგრების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2200 (ორი ათას ორასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (გადასახადები და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირს წარმოადგენს: ბაღის დირექტორი ნინო ბაღაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს

ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითა არის შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>
აარპ „ქ. თბილისის №22 საბავშვო ბაგა-ბაღი“
მის: თბილისი, თემქის მე-10 კვ
ს.კ: 200008133
სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTEGE22
ანგ. №GE61LB0115163070534000

დირექტორი
ნინო ბაღაშვილი

<u>მიმწოდებელი</u>
შპს"ჯეორესეტი"
ქ.თბილისი 0179, ბარნოვის ქ.№71, II სად, ბ. №26
სს "საქართველოს ბანკი"-ს ც.ფ
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ. №GE87BG0000000268732700
ს.კ: №204560242
ტელ: 599227107

დირექტორი
თ.შენგელია

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი

1 აგვისტო 2012 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთისმხრივ შ.პ.ს. "ჯეორესეტი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომადგენელი დირექტორი თამაზ შენგელიას სახით და მეორეს მხრივ ქ.თბილისის "№22 საბავშვო ბაგა-ბაღი (მის. თბილისი, თემქის მე-10 კვ) წარმომადგენელი - მისი დირექტორის ნინო ბაღაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") .

ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო 2012 წლის 16 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება: ქ.თბილისის №22 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გამაგრების პროექტის კორექტირების მომსახურების შესყიდვა, რომლის ღირებულება შეადგენს 2200 (ორი ათას ორასი) ლარს დღგ-ს და ყველა გადასახადის ჩათვლით.

"მიმწოდებელი"
შ.პ.ს. "ჯეორესეტი"
მისამართი: ქ. თბილისი ბარნოვის ქ№71, II სადარბაზო ბინა №26
საიდ კოდი: 204560242
ტელ: 599 22 71 07
საქ. ბანკი ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. GE 87 BG 0000000 26 87 32 700

"შემსყიდველი"
ააიპ „ქ. თბილისის №22 საბავშვო ბაგა-ბაღი"
მის: თბილისი, თემქის მე-10 კვ
ს.კ: 200008133
სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTEGE22
ანგ. № GE61LB0115163070534000

დირექტორი
თამაზ შ

GEORESET LTD TBILISI 204560242

დირექტორი
ნინო ბაღაშვილი

ააიპ ქ. თბილისის №22 საბავშვო ბაგა-ბაღი GEORGIA. NPLE No22 KINDER GARDEN OF TBILISI 200008133